ს ა გ ა რ ა ნ ტ ი ო ბ ა რ ა თ ი

პროდუქციის საგარანტიო ვადა განისაზღვრება 1 (ერთი)წლით. შესყიდვის დღიდან და ძალაში შედის მხოლოდ კვალიფიციური პერსონალის მიერ სრულყოფილი ინსტალაციის დადასტურების შემთხვევაში.ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას გაზის წყლის გამაცხელებლის მხოლოდ ქარხნული წუნის გამოსწორებასა და შეკეთებაზე.

გაზის წყლის გამაცხელებლის მონტაჟის პერიოდში უნდა იყოს გათვალისწინებული:

- თუ დარღვეულია პროდუქციის მონტაჟის ტექნიკური პირობები, (დანიშნულება, არასწორი მონტაჟი), **საგარანტიო მომსახურება ითვლება ძალადაკარგულად.**
- თუ პროდუქციაზე უკვე ჩატარებულია რემონტი არაკვალიფიციური სპეციალისტების მიერ (სერვის ცენტრის სპეციალისტების გარდა), საგარანტიო მომსახურება ითვლება ძალადაკარგულად.
- გაზის წყლის გამაცხელებელში უცხო სხეულების (ნალექის) მოხვედრა აზიანებს სისტემას, ამ შემთხვევაში ქარხნული გარანტია ძალადაკარგულია.რეგიონებში აუცილებელია დამატებითი წყლის ფილტრი.
- თუ პროდუქცია დაზიანებულია მექანიკური ან ელექტრო გაყვანილობის გაუმართაობის გამო, საგარანტიო მომსახურეობა ითვლება ძალადაკარგულად.
- წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის,ჰაერის გამწოვი მილის ან სხვა აქსესუარების არასწორი მონტაჟის დროს (გაზის წყლის გამაცხელებლის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში) მიღებული დაზიანებისას საგარანტიო მომსახურება ითვლება ძალადაკარგულად
- სერვის ცენტრის მიერ ქარხნული წუნის გამოსწორების ვადებია -1-30 სამუშაო დღე (სათადარიგო ნაწილის შეკეთება ან ახალი ნაწილის ჩამოტანა ქარხნიდან
- გარანტია არ ვრცელდება სამონტაჟო მასალებზე და აქსესუარებზე

დამონტაჟების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელი შემდეგი პირობები:

- ნაკეთობა დამონტაჟებული უნდა იყოს ადვილად მისადგომ ადგილზე და დაცული უნდა იყოს წვიმისა და თოვლის ზემოქმედებისგან.
- აუცილებელია, ნაკეთობის შეფუთვა ზამთარში შესაძლო გაყინვისა და შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

რეგიონის ყველა კონკრეტული ქალაქისთვის გაზის წყლის გამაცხელებლის ქარხნული წუნის შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი პირობები:

გაზის წყლის გამაცხელებლის მოხსნა და გამოგზავნა **დეკორალი**-ს სერვის ცენტრში მყიდველის ხარჯზე ან ჩვენი სპეციალისტის ადგილზე გამოძახება მყიდველის ხარჯზე.

საგარანტიო მომსახურება არ ითვალისწინებს გაზის წყლის გამაცხელებლის ახლით შეცვლას

საგარანტიო მომსახურება არ ითვალისწინებს და ფასიანია:

- ნადების ან წყლის ნალექის გამო გაზის წყლის გამაცხელებლის დაზიანების შემთხვევაში გამოძახება.
- სისტემის ტექნიკურად არასწორი მონტაჟის შედეგად წარმოქმნილი დაზიანების შემთხვევაში, სერვისის გამოძახება.
- თუ სპეციალისტის გამოძახება არ არის გათვალისწინებული საგარანტიო მომსახურებით ან დაზიანება არ ექვემდებარება საგარანტიო მომსახურების წესებსა და პირობებს,გამოძახების ხარჯებს იხდის მომხმარებელი.
- სპეციალისტის სხვა დანარჩენ შემთხვევაში გამოძახება.

საგარანტიო ბარათის დაკარვის შემთხვევაში,საგარანტიო მომსახურება ითვლება ძალადაკარგულად.

თბილისი ,კონსტანტინე სტალისლავსკის N12 . **დეკორალი**-ს სერვის ცენტრი

+995 599 034 629

+995 32 218 51 78

სამუშაო საათები: 10^{00}-18^{00}

საგარანტიო